საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020124474144919

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 26/CIRC/STCW **16 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოში მოქმედ საკრუინგო კომპანიებს
საქართველოში სერტიფიცირებულ გემის მზარეულ
მეზღვაურებს
სხვა დაინტერესებულ მხარეებს

2019 წლის 23 მაისის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის „საზღვაო კულინარიის მომზადების პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების შერჩევისა და საზღვაო კულინარიის მომზადების პროგრამის აღიარების, ასევე გემის მზარეულისა და დამხმარე სამაგიდე მომსახურე პერსონალის სერტიფიცირების წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, ბრძანება №03-ის მე-6 მუხლის შესაბამისად გემის დამხმარე სამაგიდე მომსახურე პერსონალის და მზარეულის სერტიფიცირებისთვის აუცილებელია წარმოადგინოს საზღვაო კულინარიის მომზადების წარმატებით გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადამზადების კურსის განხორციელება შეუძლია მხოლოდ სააგენტოს მიერ შერჩეულ დაწესებულებას (გემის კულინარიის აღიარებული პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების სია განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე).

2019 წლის 1 ივლისიდან სააგენტოს მიერ გაცემულ გემის მზარეულისა და დამხმარე სამაგიდე მომსახურე პერსონალის სერტიფიკატებში მითითებული იქნება, რომ სერტიფიკატი შესაბამისობაშია მეზღვაურთა შრომის კონვენციასთან - MLC 2006.

მეზღვაურებისთვის, რომელთაც გააჩნიათ მოქმედების ვადაში მყოფი ზემოთ აღნიშნული სერტიფიკატები, ახალი სერტიფიკატების მიღება ნებაყოფლობითია და შეუძლიათ გააგრძელონ არსებული სერტიფიკატების გამოყენება მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

დანართის სახით ცირკულარს თან ერთვის სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2019 წლის 23 მაისის №03 ბრძანება „საზღვაო კულინარიის მომზადების პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების შერჩევისა და საზღვაო კულინარიის მომზადების პროგრამის აღიარების, ასევე გემის მზარეულისა და დამხმარე სამაგიდე მომსახურე პერსონალის სერტიფიცირების წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ.

დანართი: 14 ფურცელი.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა მახარაძე